საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N894 2023 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 48 340 000 (ორმოცდარვა მილიონ სამას ორმოცი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 150 000 (ხუთი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარისა;

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 880 000 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ე) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 780 000 (სამი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ვ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 570 000 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ზ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 225 000 (ორი მილიონ ორას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

თ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარისა;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 070 000 (ხუთი მილიონ სამოცდაათი ათასი) ლარისა;

კ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 610 000 (ერთი მილიონ ექვსას ათი ათასი) ლარისა;

ლ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 620 000 (ექვსას ოცი ათასი) ლარისა;

მ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ნ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 580 000 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ო) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 530 000 (ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

პ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 465 000 (ოთხას სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჟ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 625 000 (ორი მილიონ ექვსას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

რ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა;

ს) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 385 000 (სამას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ტ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 170 000 (ას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

უ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 455 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ფ) ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 725 000 (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ქ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა;

ღ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 395 000 (ერთი მილიონ სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ყ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 970 000 (ცხრაას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ჩ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 100 000 (სამი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ც) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 900 000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარისა;

ძ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

წ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჭ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ხ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ჯ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 565 000 (ხუთას სამოცდახუთი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**